

ბარათის რეკვიზიტებით გადარიცხვის ინიცირებით, კლიენტი ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რომლებიც არეგულირებენ კლიენტისა და ბანკის უფლება-მოვალეობებს, გადარიცხვის შესრულების წესს და პროცედურას.

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. **კლიენტი** - ფიზიკური პირი, რომელსაც ემიტენტი ბანკისგან კანონიერ მფლობელობაში გადაცემული აქვს ბარათი და სურს ბარათის რეკვიზიტების გამოყენებით განახორციელოს ბარათთან დაკავშირებულ საბანკო ანგარიშზე [შემდგომ „საბარათე ანგარიში“] არსებული სახსრების გადარიცხვა.
- 1.2. **ბარათი** - საქართველოს რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ ემიტირებული [გამოშვებული] საგადახდო ბარათი, რომელიც ჩართულია საერთაშორისო საგადახდო სისტემაში Visa ან Mastercard და რომლის საშუალებითაც ხდება საბარათე ანგარიშზე არსებული სახსრების გადარიცხვა ან ანგარიშზე ჩარიცხვა.
- 1.3. **ბარათზე არსებული სახსრები** - თანხა, რომელიც განთავსებულია საბარათე ანგარიშზე და ხელმისაწვდომია გასახარჯად.
- 1.4. **ბარათის რეკვიზიტები** - ბარათზე დატანილი რეკვიზიტები, რომლებიც სავალდებულოდ ეთითება დავალებაში. ეს რეკვიზიტებია: ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა [წელი თვე] და CVV2/CVC2 კოდი.
- 1.5. **ბანკი** - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 202906427; სათავო ოფისის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, 0108, ჭანტურიას ქუჩა N 14; ელ. ფოსტის მისამართი: info@vtb.ge; ქოლ-ცენტრის ტელეფონის ნომერი: + 995 32 2 242424; ბანკის ოფიციალური ვებგვერდი www.vtb.ge, სადაც განთავსებულია ბანკის ფილიალების/სერვის-ცენტრების მისამართები, ასევე ინფორმაცია ბანკის მომსახურებების შესახებ; ბანკის ლიცენზიის ნომერი: 226ა; ბანკის საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: www.nbg.gov.ge, ამასთან „საზედამხედველო ორგანო არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე“.
- 1.6. **ემიტენტი ბანკი** - ბანკი, რომელიც ახორციელებს საბანკო ბარათების გამოშვებას [ემისიას] და მათ მომსახურებას.
- 1.7. **მიმღები** - ბარათის მფლობელი ფიზიკური პირი, რომლის სასარგებლოდ ახორციელებს გადარიცხვას კლიენტი.
- 1.8. **მიმღების პროვაიდერი** - საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკი, რომლის მიერ გამოშვებულ [ემიტირებულ] ბარათს ფლობს მიმღები.
- 1.9. **გადარიცხვა** - გადახდის ოპერაცია, რომელიც გულისხმობს კლიენტის ბარათზე არსებული სახსრების ჩამოჭრას მიმღების საბარათე ანგარიშზე ასახვის [გადარიცხვის] მიზნით.
- 1.10. **დავალება** - კლიენტის მიერ ბანკისათვის ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა გადარიცხვის ოპერაციის შესრულებაზე.

- 1.11. **საკომისიო** - მომსახურების ტარიფი, რომელსაც ბანკი იღებს გადარიცხვის განხორციელებისათვის. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იგულისხმება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კუთვნილი მომსახურების ტარიფი და არა მიმღების პროვაიდერის ტარიფი, რომელიც შეიძლება დაწესებული ჰქონდეს მიმღების პროვაიდერს გადარიცხული სახსრების მიმღების საბარათე ანგარიშზე ასახვისათვის.
- 1.12. **ავტორიზაცია** - ბანკის ნებართვა/თანხმობა გადარიცხვის შესრულებაზე.
- 1.13. **CVV2/CVC2 კოდი** - Visa/Mastercard-ის ვერიფიკაციის სამციფრიანი კოდი, რომელიც განთავსებულია ბარათის უკანა მხარეს, ხელმოწერის ზოლში.
- 1.14. **ხელშეკრულება** - წინამდებარე დოკუმენტი.
- 1.15. **P2P Hub** - საერთაშორისო საგადასხდელი სისტემის, MasterCard ის მიერ გაწეული მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს [1] გადარიცხვის შესახებ საინფორმაციო შეტყობინების მიმღებისათვის მიწოდებას [2] რომლის მეშვეობითაც მიმღები ადასტურებს გადარიცხვის მიღების ნებას [3] და რომელიც საპროცესინგო ცენტრს აწვდის ინფორმაციას მიმღების ბარათის ნომრის შესახებ, შესაბამის საბარათე ანგარიშზე თანხის ასახვის მიზნით.
- 1.16. ინტერაქტიული [აქტივაციის] ბმული - მიმღების ელ. ფოსტაზე ან ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ბმული, რომლის აქტივაციით ხდება მიმღების დაკავშირება P2P Hub თან.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს კლიენტის მიერ ბარათის რეკვიზიტების გამოყენებით გადარიცხვის განხორციელებას მიმღების სასარგებლოდ. გადარიცხვის შესრულებას კლიენტის მხრიდან უზრუნველყოფს ბანკი.
- 2.2. ხელშეკრულების 4.1 პუნქტში მითითებული ინფორმაციის სრულად შევსების და დადასტურების შემდეგ, ჩაითვლება რომ კლიენტმა მისცა დავალება ბანკს თანხის გადარიცხვაზე.
- 2.3. ბანკის მომსახურება შესრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ბანკი ჩამოჭრის შესაბამის სახსრებს კლიენტის ბარათიდან და გადარიცხვის შესახებ საინფორმაციო შეტყობინება და ინტერაქტიული [აქტივაციის] ბმული მიეწოდება მიმღებს ტელეფონის ნომერზე ან ელ. ფოსტაზე.
- 2.4. კლიენტის ბარათიდან ბანკის მიერ ჩამოჭრილი თანხა შედგება ბანკის საკომისიოსაგან და თანხის იმ ოდენობისაგან, რომელიც უნდა გადაერიცხოს მიმღებს.

3. კლიენტის აცხადებს და ადასტურებს, რომ

- 3.1. ბარათი, რომლის რეკვიზიტების გამოყენებითაც ხდება გადარიცხვის განხორციელება, არის კლიენტის კანონიერ მფლობელობაში.
- 3.2. გადარიცხვის განხორციელებისას იმყოფება სრულ ქმედუნარიან მდგომარეობაში, სრულად აცნობიერებს გადარიცხვის სამართლებრივ შედეგებს და საკუთარ/ბანკის უფლება - მოვალეობებს.

- 3.3. ბანკს აქვს უფლება შეინახოს გადარიცხვის მიზნებისათვის კლიენტის მიერ ბანკისათვის მიწოდებული ინფორმაცია, ტრანზაქციის კანონიერების შემოწმების/შესრულების დადასტურების მიზნებისათვის.
- 3.4. გადარიცხვას ახორციელებს ისეთი მოწყობილობის და ინტერნეტ კავშირის გამოყენებით, რომელიც დაცულია მესამე პირების არაავტორიზებული/არაკანონიერი წვდომისაგან.
- 3.5. ბანკი პასუხს არ აგებს მისგან დამოუკიდებელი ტექნიკური მიზეზებით გადარიცხვის შეუსრულებლობაზე.
- 3.6. გადარიცხვა კანონიერია და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებს და აკრძალვებს
- 3.7. გადარიცხვა არ უკავშირდება კლიენტის სამეწარმეო საქმიანობას, აგრეთვე კლიენტის მიერ საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდა/მიღებასთან, გაყიდვა/შესყიდვასთან დაკავშირებულ ანგარიშსწორებას.
- 3.8. იგი სრულად არის პასუხისმგებელი ბანკისთვის დავალებით მიწოდებული რეკვიზიტების/ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე და ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის გაუფრთხილებლობით გამოწვეულ შედეგებზე.
- 3.9. მისთვის ცნობილია, რომ არასწორი ტელეფონის ნომრის ან ელ. ფოსტის მითითების შემთხვევაში გადარიცხვა შეიძლება მიიღოს სხვა პირმა, და ასეთ შემთხვევაში ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას თანხა უკან დაუბრუნოს კლიენტს.
- 3.10. ბანკი უფლებამოსილია გადარიცხვის შესრულებისას, გადარიცხვის დამატებით რეკვიზიტად გამოიყენოს ბანკში არსებული/დაცული კლიენტის პერსონალური ინფორმაცია [მაგ. კლიენტის მისამართი, ტელეფონი ა. შ.]
- 3.11. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხოლოდ ერთჯერადი გადარიცხვის ოპერაციას. ბარათით სარგებლობასთან და ბარათის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება კლიენტსა და ბარათის ემიტენტ ბანკს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

4. გადარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები

- 4.1. გადარიცხვის განხორციელებისათვის კლიენტის მიერ ბანკისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია:
 - 4.1.1. კლიენტის ბარათის ნომერი [16 ციფრი]
 - 4.1.2. კლიენტის ბარათის მოქმედების ვადა
 - 4.1.3. კლიენტის ბარათის CVV2/CVC2 კოდი
 - 4.1.4. მიმღების ფიჭური კავშირგაბმულობის ტელეფონის ნომერი ან ელექტრონული ფოსტა. ტელეფონის ნომერი სავალდებულოდ ჩართული უნდა იყოს საქართველოს მოზ. ოპერატორის ქსელში
- 4.2. როგორც კლიენტი, ისე მიმღები აუცილებელი წესით უნდა ფლობდეს მოქმედ/აქტიურ ბარათს.

- 4.3. გადარიცხვის შესახებ დავალების კლიენტის მიერ დადასტურებისთანავე მიმღები ტელეფონის ნომერზე ან ელ. ფოსტაზე მიიღებს საინფორმაციო შეტყობინებას თანხის გამოგზავნის შესახებ და აქტივაციის ბმულს.
- 4.4. აქტივაციის ბმულის გააქტიურებით, მიმღები უკავშირდება P2P Hub-ს და ქმნის საკუთარ ანგარიშს, რომლის შესაქმნელად აუცილებელია მიმღები დაეთანხმოს P2P Hub-ის მომსახურების პირობებს.
- 4.5. P2P Hub-ში ანგარიშის შექმნის შემდეგ მიმღები ადასტურებს გადარიცხვას, დადასტურების შემთხვევაში იგი ვალდებულია მიუთითოს მისი ბარათის ნომერი, გადარიცხვის თანხის მის საბარათე ანგარიშზე ასახვის მიზნით.
- 4.6. თუ მიმღების პროვაიდერი არის სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, თანხა მიმღებს, როგორც წესი, ჩაერიცხება მის მიერ P2P Hub-ში თანხის ბარათზე ჩასარიცხად საჭირო ქმედებების განხორციელებიდან რამდენიმე წუთში, მაგრამ არა უგვიანეს იმავე საბანკო დღეს.
- 4.7. თუ მიმღების პროვაიდერი არ არის სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ თანხა მიმღებს, როგორც წესი, ჩაერიცხება მის მიერ P2P Hub-ში თანხის ბარათზე ჩასარიცხად საჭირო ქმედებების განხორციელებიდან 30 წუთში, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღეს.
- 4.8. თუ მიმღები გადახდას არ მიიღებს გადარიცხვის შესახებ საინფორმაციო შეტყობინების და აქტივაციის ბმულის მიღებიდან 7 დღის ვადაში, თანხა, საკომისიოს ჩათვლით, კლიენტს უბრუნდება სრულად.
- 4.9. გადარიცხვა ხორციელდება ქართულ ლარში. თუ თანხები კლიენტს აქვს სხვა ვალუტაში, კონვერტაცია მოხდება ბანკის საოპერაციო დღის პროგრამაში ტრანზაქციის ასახვის მომენტისათვის მოქმედი/არსებული კომერციული კურსით.
- 4.10. გადარიცხვა **არაავტორიზებულად** ჩაითვლება, თუ არ არსებობს კლიენტის თანხმობა გადახდის განხორციელებაზე, ხოლო გადახდა **არასწორად** შესრულებულად ჩაითვლება, თუ შესრულებული გადახდა არ შეესაბამება იმ რეკვიზიტებს [ინფორმაციას], რომელიც კლიენტმა მიუთითა/კლიენტი დაეთანხმა გადახდის განხორციელებისას. კლიენტს უფლება აქვს ბანკს მოსთხოვოს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესაბამისი თანხის ანაზღაურება, თუ არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ არის გასული 40 დღეზე მეტი ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ არის გასული 180 დღეზე მეტი. არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული გადახდის შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილს ან დარეკოს ცხელი ხაზის ნომერზე: + 995 32 2 242424.
- 4.11. კლიენტი ვალდებულია გადარიცხვის შესრულებისას [დავალების გაფორმებისას და ავტორიზაციისას] დაიცვას გონივრული ზომები, რომელიც უზრუნველყოფს დისტანციური საბანკო მომსახურების არხებში მუშაობის უსაფრთხოებას.

5. გადარიცხვის შესრულების წინაპირობები/შეზღუდვები და დასკვნითი დებულებები

- 5.1. როგორც კლიენტი, ისე მიმღები შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, ხოლო გადახდის დანიშნულება - პირადი.
- 5.2. ბანკი უფლებამოსილია დააწესოს შეზღუდვები/აკრძალვები გადარიცხვის განხორციელებაზე, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს გადარიცხვის ვალუტასთან, ბარათის ტიპებთან, გადარიცხვის თანხის მოცულობასთან, გადარიცხვების რაოდენობასთან და ა. შ.
- 5.3. შეზღუდვის შესახებ კლიენტს ეცნობება ტრანზაქციის ბანკის მიერ შესრულებამდე.
- 5.4. ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტის მიერ დავალებაში მოცემული ინფორმაციის საიდუმლოება და არ გამიყენოს ის სხვაგვარად, გარდა პირდაპირი დანიშნულებისა.
- 5.5. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.